საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030150390532420

№ 01-71/ო **02 / მარტი / 2020 წ.**

სეზონური გრიპისა და COVID-19 –ის შემთხვევათა იდენტიფიცირებისა და სწორი მართვის/რეფერალის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 70-ე მუხლის პირველი პუნქტის, 74-ე მუხლის, 75-ე მუხლის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების, მე-3 მუხლის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ო“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით, სეზონური გრიპისა და COVID-19 –ის შემთხვევათა იდენტიფიცირებისა და სწორი მართვის/რეფერალის უზრუნველყოფის მიზნით,

ვბრძანებ:

1. განისაზღვროს „მორიგე“ რეჟიმში მომუშავე დაწესებულებები (შემდგომში - დაწესებულებები):

ა) შპს „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი“ (ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. N57);

ბ) შპს „მედკაპიტალი“ - გლდანის ფილიალი (ქ. თბილისი, გლდანი, გამარჯვების ქ. 1 (ი. ვეკუას ქ. 18);

გ) შპს „მედკაპიტალი“ - ვარკეთილის ფილიალი (ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, მოსკოვის გამზ. 4 კვ. 3 კორპ.);

დ) შპს „მედკაპიტალი“ - საბურთალოს ფილიალი (ქ. თბილისი, გამრეკელის 19).

2. ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულმა დაწესებულებებმა უზრუნველყონ პაციენტთა სატელეფონო კონსულტაცია 24 საათის განმავლობაში;

3. ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული დაწესებულებების მიერ, ამ ბრძანებით განსაზღვრული გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება განხორციელდეს „რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამის ასიგნებებიდან.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ხელმოწერილია/
ელექტრონულად